

წიგნის ყოვნიანი

№ 60 №

DAVID KIPIANI

ცხენიანი და მოქმედება
Life and Activity

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემია
ა(აიპ) „განათლებისა და მეცნიერების პროგრესი“
Ministry of Education and Science of Georgia (A)
Academy of Business Sciences of Georgia
NGO "Progress of Education and Science"

დავით ყიფიანი

David Kipiani

მ 60 რ

ცხოვრება და მოღვაწეობა

Life and Activity



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი - Tbilisi
2023

სარედაქციო საბჭო/Editor Board

- **თემურ ბაბუნაშვილი** საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- **Temur Babunashvili**, President of the Academy of Business Sciences of Georgia, Doctor of Economics, Professor.
- **ტარიელ კვიციანი** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- **Tariel Kvitsian**, Head of the Department of Engineering Mechanics and Construction and Technical Expertise of the Technical University of Georgia, Doctor of Pedagogical Sciences, Doctor of Technical Sciences, Professor
- **მარინა ქურდაძე** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- **Marina Kurdadze**, Head of the Department of Digital Telecommunication Technologies of the Faculty of Informatics and Control Systems of the Technical University of Georgia, Doctor of Technical Sciences, Professor.

რედაქტორი, პროფესორი შორენა დიპანოსიძე

იბეჭდება ა(ა)იპ „განათლებისა და მეცნიერების პროგრესი“-ს ხელშეწყობით.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-599-0



დავით ყიფიანი - 60

მეცნიერება ნისლისფერში გახვეული ბუნდოვანი იდუმალებაა, რომელსაც არც საწყისი აქვს და არც დასასრული. სამყაროში მარადიული ლურჯი ფრინველივით შეუმჩნევლად დაქრის, აჩრდილივით დასდევს განყენებული აზროვნების მქონე ადამიანებს და დამსახურებულად აფენს ცითბოძებულ შუეს საიდუმლოებათა ამოსახსნელად. „ადამიანთა უმრავ-ლესობას მეცნიერებისა არ იყოს ბევრი ფარული უნარი აქვს, რომელსაც მხოლოდ შემთხვევითობა ამჟღავნებს“. ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება რამოდენიმე საერთაშორისო და რესპუბლიკური აკადემიების აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი, პროფესორი დავით ყიფიანი. ცხოვრებამ მას სიკეთის, უანგარო მეგობრობის და კაცურ-კაცობის სამოც წლიანი სარტყელი ლამაზად შემოავლო.

პროფესორ დავით ყიფიანის განვლილი ნახევარ-საუკუნოვანი ცხოვრების გზა მებრძოლი ადამიანის ბუნებითაა დაღდასმული.

დავით ყიფიანი დაიბადა 1962 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ულამაზეს კუთხეში რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფ. ხვანჭკარაში სამთო ინჟინრის ოჯახში.

1979 წელს დაამთავრა თბილისის 123-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით საინფორმაციო საზომი ტექნიკა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ.

1985-1991 წლებში მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკურ საპროექტო კოოპერატივი „პრომა“-ში პროგრამისტის თანამდებობაზე.

1991 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეორიული მექანიკის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე.

1991 წლის 12 დეკემბერს გადაყვანილ იქნა სტუ-ს თეორიული მექანიკის უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე. 1997 წლამდე.

1997 წელს 9 ოქტომბრიდან გადაყვანილია ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2008 წლამდე.

2004 წელს დ. ყიფიანი მივლინებულ იქნა სტაჟირებაზე სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქიტექტურის-სამშენებლო უნივერსიტეტში გამოყენებით მათემატიკის კათედრაზე საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომის დასა-

მთავრებლად პროფესორ ვ. კარპოვის ხელმძღვანელობით.

2005 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „სიხისტის წიბოების მქონე არარეგულირებადი თხელი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. შიფრით 05.23.17 – სამშენებლო მექანიკა.

პროფესორი დ. ყიფიანი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის და სიმპოზიუმის მონაწილეა.

გამოქვეყნებული აქვს 50-მდე მეცნიერული შრომა, რომლებიც დაბეჭდილია როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების ფუნდამენტალურ სამეცნიერო ჟურნალებში. იგი 1 მონოგრაფიის ავტორია, მისი მეცნიერული ნაშრომები ძირითადად წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი სივრცით სისტემის გამოკვლევას ეხება. დ.ყიფიანი არის 20-ზე მეტი სამეცნიერო სიმპოზიუმისა და კონფერენციის რედაქოლეგიის წევრი.

დ. ყიფიანის მეცნიერული მოღვაწეობა სცილდება ტექნიკური უნივერსიტეტის და მეტიც, საქართველოს ფარგლებს.

2012 წელს მიწვეული იყო პოლონეთში ჩესტოხოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ამავე დროს იყო საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

2006 წლიდან აქვს ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 სახელმძღვანელო და 2 მონოგრაფია. 2013 წლიდან დღემდე ა(აიპ) „განათლე-ბისა და მეცნიერების პროგრესის“ დამფუძნებელი, მმართველი საბჭოს წევრი და ვიცე-პრეზიდენტია. 1998 წლიდან არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

2012 წლიდან არის საქართველოს ეროვნული აკადემიისა და ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნამდვილი წევრი.

მეცნიერებისადმი საკუთარი ძალების რწმენა, შემოქმედებითი აქტივობის უსაზღვრო სიყვარული, დღესაც ჩვეული ენერგიით ავსებს პროფესორ დ. ყიფიანს. მისი მეცნიერული ცხოვრების უჩვეულო ინტენსივობით, ნაყოფიერებით, მრავალმხრივობით, სამყაროს გამორჩეულად ხედვის მძლავრი იმპულსებით, თავისი ხალასი

და ენაწყლიანი ბუნების გამო, სტუდენტებსა და კოლეგებში განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. იგი დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს დრეკადობის თეორიაში, სამშენებლო მექანიკაში, დეფორმირებადი მყარი სხეულის მექანიკაში, ჰიდროაერომექანიკაში, სამშენებლო ნაგებობებსა და კონსტრუქციებში, მდგრადობის საკითხებზე გარსებისა და ფირფიტების თეორიაში.

ჰყავს მუუღლე ანა გაბიძაშვილი – ბიოლოგი, შვილები – ხვთისო ყიფიანი და ლევან ყიფიანი.

* * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემის, საქართველოს ეროვნული აკადემია, საქართველოს საინჟინრო აკადემია, „ა(ა)იპ“ განათლებისა და მეცნიერების პროგრესი დავით ყიფიანს მხურვალედ ულოცავენ 60 წლის იუბილეს და უსურვებს მას ხანგრძლივ და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ, ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ოჯახისა და ქვეყნისა საკეთილდღეოდ.

- **თემურ ბაბუნაშვილი** საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- **ტარიელ კვიციანი** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- **მარინა ქურდაძე** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დავით ყიფიანი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი

თარიღები

- 1962 წ. 22 აგვისტოს დაიბადა ამბლორაულის რაიონის სოფელ ხვანჭკარაში.
- 1979 წ. დაამთავრა თბილისის 123-ე საშუალო სკოლა.
- 1984-1990წწ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტის სპეციალობით. საინფორმაციო საზომის ტექნიკა და მიენიჭა ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია
- 1991.02.01 წ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის ლაბორანტი, პროფესორ ლერი დობორჯგინიძის რეკომენდაციით
- 1991.02.12 წ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი
- 1997.09.10 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-

- წ. ტის თეორიული მექანიკის კათედრის
ლაბორატორიის გამგე
- 2005 წ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია
სპეციალობით 05.23.17-სამშენებლო
მექანიკა და მიენიჭა ტექნიკის
მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.
- 2006წ საქართველოს საინჟინრო აკადემიის
მრჩეველი.
- 2008წ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი
- 2010წ საქართველოს ეროვნული აკადემიის
ნამდვილი წევრი.
- 2013წ ა(ა)იპ განათლებისა და მეცნიერების
პროგრესის დამფუძნებელი, პოლიტ-
საბჭოს წევრი და ვიცე პრეზიდენტი.

საზოგადოებრივი აქტიურობა
დავით ყიფიანის სამეცნიერო-პედაგოგიური
შრომების ბიბლიოგრაფია

1988

1. Кипиани Г.О., Кипиани Д.О. Новые компактные алгоритмы расчета на изгиб прямоугольной пластинки с косым разрезом // Молодые ученые – науке и народному хозяйству. Тез. докл. респ. науч.-техн. конф. Ижевск, 1988. – с. 38.

1990

2. Кипиани Г.О., Арманов Ф.М., Кипиани Д.О. Алгоритм расчета устойчивости трехслойных пластин с разрезами // Сейсмического строительства. Сб. науч. трудов Тбил. ЗНИИЭП-а. Тбилиси, 1990. – С. 52-56.

1991

3. Михайлов Б.К., Борисов Н.П., Кипиани Д.О. Метод расчета трехслойных панелей с дискретным заполнителем // Материалы доклада Всесоюзной конференции. «Актуальные проблемы прикладной математики». II том. Саратов, 1991. – С. 218-225.

1991

4. Кипиани Д.О. // Материалы доклада Всесоюзной конференции. «Актуальные проблемы прикладной математики». II том. Саратов, 1991. – С. 251-255.

1993

5. Карпов В.В., Кипиани Д.О. Методы продолжения решения по параметру в нелинейных задачах теории пластин и оболочек ступенчато-переменной толщины // Труды Саратовский гос. университет. Саратов. СГУ. 1993. – С. 136-140.

1994

6. ყიფიანი გ., ყიფიანი დ. გორის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უმაღლესი კოლეჯი (ინსტიტუტი) ელის ახალ შევსებას (ცნობარი) გორი, 1992, გვ. 84.
7. ყიფიანი გ., შელია ვ., ყიფიანი დ. ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის მეთოდები. თბილისი, „ევრიკა“ 1994, გვ. 196.

1995

8. Вазагашвили М.Г., Кипиани Д.О., Цурцумия Р.Г. Многоволновое покрытие из пологих оболочек,

имеющих краевых пластины // Межвуз. темат. сб. тр.
Санкт-Петербург. СПбГАСУ. 1995. – С. 132-136.

1996

9. Гардапхадзе Т.Г., Гардапхадзе М.М., Кипиани Д.О., Шелия Ш.А. Геометрически нелинейная деформация трехслойных пологих оболочек двоякой кривизны // 53-ая науч. конф. профессоров, преподавателей, научных работников и аспирантов университета. Санкт-Петербург, СПбГАСУ, 1996. – С. 148-149

1997

10. Карпов В.В., Кипиани Д.О. Применение метода последовательного наращивания ребер к расчету оболочек подкреплениями // Тез. доклад профессорско-препод. научно-техн. конф. 75-я ГТУ. Тбилиси, ГТУ. 1997. – С. 210.
11. Кипиани Д.О. Разработка эффективного алгоритма на устойчивость пластин с разрезами при помощи персонального компьютера // Тез. докл. международного симпозиума по проблемам механики сплошных сред. Тбилиси, ГТУ, 1997. – С. 95.

12. Карпов В.В., Кипиани Д.О. Применение метода последовательного наращивания ребер к расчету оболочек ступенчато-переменной толщины // Труды межд. симпоз. по проблемам механики сплошных сред. Тбилиси, ГТУ, 1997. – С. 52-54.

1998

13. Буксианидзе А.А., Кварацхелия А.В., Кипиани Д.О. Влияние ребер на кручение срединной поверхности оболочки // Тез. докл. межд. симп. «Механика деформируемого твердого тела». Тбилиси, ГТУ, 1998. – С. 46.
14. Кварацхелия А.В., Кипиани Г.О., Кипиани Д.О. К вопросу построения разрешающих уравнений теории упругости анизотропного тела // Труды межд. конф. «Актуальные проблемы механики оболочек». Казань, КГУ, 1998. – С. 120-122.
15. Буксианидзе А.А., Кипиани Д.О. Алгоритм численное преобразование Лапласа при расчете нестационарных температурных полей // Инженерные новости Грузии. № 4(8), Тбилиси, 1998. – с. 23-26.

1999

17. Буксианидзе А.А., Кварацхелия А.В., Кипиани Д.О.
Влияние жесткостных параметров и количества ребер
на устойчивость пологих оболочек различной кривизны
// Тез. докл. межд. симпозиум «Сейсмостойкость и
инженерная сейсмология». Тбилиси, ГТУ, 1999, - С.
133.

2000

18. Кипиани Д.О., Кипиани Г.О., Мачаидзе Э.П.
Устойчивость складчатой оболочки прямоугольных
элементов с разрезами // «Интеллекти» № 1(7).
Тбилиси, 2000. – С. 48-50.
19. ყიფიანი გ., ყიფიანი დ., მაჩაიძე ე. თხელკედლიანი
სივრცითი სისტემების თეორიის განვითარება
საქართველოში // მოხსენებათა თეზისები. საერთა-
შორისო სიმპოზიუმების საბუნებისმეტყველო და
საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის
საკითხებზე. თბილისი, სტუ, 2000, გვ. 9.
20. კვარაცხელია ა., მაჩაიძე ე., ყიფიანი დ. ორთოტრო-
პული ფენების მქონე ორმაგი სიმრუდის გარსების
მდგრადობა // საერთაშორისო სამეცნ. ტექნ. კონფ.

შრომების კრებული „შრომის დაცვაში, ეკოლოგიაში, სამთო საქმესა და გეოლოგიაში“, თბილისი, სტუ, 2000, გვ. 146–149.

21. Амилахвари Н.Г., Гардапхадзе М.М., Кипиани Д.О. Расчет достоверности и корректности критических значений температуры конечно-элементной модели оболочек // Труды ГТУ, № 5(433), 2000. – С. 80-86.
22. Кипиани Г.О., Кипиани Д.О., Мачаидзе Э.П. Изгиб и устойчивость пологой оболочки с комым размером // Актуальные проблемы механики оболочек. Казань. КНЦ РАН. 2000. – С. 119-120.

2001

23. ყიფიანი გ., ყიფიანი დ., მაჩაიძე ე. ჰიდროდრეკადი გარსების კონსტრუქციის ელემენტების თანაფარდობა (საპრობლემო ამოცანების დასმა) // მოხსენებათა თეზისები. რესპუბლიკური სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია. „სამშენებლო კონსტრუქციები“, თბილისი, სტუ, 2001, გვ. 11.
24. ყიფიანი დ. სხვადასხვა სიმრუდეების მქონე დამრეცი გარსების მდგომარეობაზე სიხისტის პარამეტრებისა და წიბოთა რაოდენობის გავლენა გარსის კონტურის

- სხვადასხვაგვარი ჩამაგრებისას // საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული „თხელკედლიანი სივრცითი სისტემების პრობლემებში“, თბილისი, სტუ, 2001, გვ. 120–124.
25. ყიფიანი დ. წრიული ან კვადრატული ფორმის ხვრეტებით დასუსტებული გარსების გამაგრება წიბოებით // საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის შრომების კრებული № 1. საიუბილეო გამოცემა // თბილისი, 2001, გვ. 41-43.
26. Карпов В.В., Кипиани Д.О. Методы продолжения решения по параметру в нелинейных задачах теории пластин и оболочек ступенчато-переменной толщины // Проблемы прикладной механики. Тбилиси. № 4(5). 2001. – С. 103-105.
27. Кипиани Г.О., Комахидзе И.Н. Практическая методика расчета пологих оболочек с ребрами // Периодический научный журнал «ИНТЕЛЛЕКТ» 3(11). Тбилиси. 2001. – С.81-83.

2002

28. წურწუმია რ., ყიფიანი დ., ჩხიტუნიძე მ. ბრუნვითი გარსის სიხისტის მატრიცის კოეფიციენტთა ანალიზი-

ზური გამოსახვა // „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.
თბილისი, მეცნიერება. № 4-5, 2002, გვ. 56-60.

2005

29. ყიფიანი დ., ყიფიანი გ. ტესტური კვების წიბოებით გამაგრებული გარსების საანგარიშო ალგორითმი || მშენებლობა და ორდამეერთე საუკუნე. თბილისი, სტუ, 2005. – გვ. 49.
30. ყიფიანი დ. მრგვალი ფორმის ხვრეტებით შესუსტებულია გარსების ანგარიშის თავისებურებანი // საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის შრომების კრებული № 2, თბილისი, 2005. გვ. 152-155.
31. ყიფიანი დ. სიხისტის წიბოების მქონე არარეგულირებადი თხელი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა. ავტორეფერატი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შიფრი 05.23.172005 23 სამშენებლო მექანიკა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2005 -23 გვ.

2006

32. Гегелашвили Т.А., Кипиани Д.О. Аналитическое решение задачи о нестационарном деформировании

сферической оболочки // GEORGIAN ENGINEERING NEWS, № 3, 2006. – С. 25-31.

33. Кватадзе З.А., Кекелия Г.В., Кипиани Д.О. Influence of Thermo-mechanical and isothermal treatments on the wear of aid During DRY friction // GEORGIAN ENGINEERING NEWS, №4, 2006. – С. 46-54.

34. გეგელაშვილი თ., ყიფიანი დ. სასრული სიგრძის ცილინდრული გარსის არასტაციონარული დეფორმირების ამოცანების ანალიტიკური გადაწყვეტა // „ინტელექტი“. № 1(24), 2006. გვ. 41–44.

35. Гегелашвили Т.А., Кипиани Д.О. Аналитическое решение задачи о нестационарном деформировании полубесконечной цилиндрической оболочки // «Проблемы Механики», № 1(22), 2006.

2007

36. ყიფიანი გ., ყიფიანი დ. წყვეტილი ფუნქციების გამოყენება ფიზიკური და გეომეტრიული ფაქტორების გათვალისწინებისათვის//საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის შრომების კრებული № 3, თბილისი. 2007 გვ. 186-188.

2008

37. Кипиани Г.О., Буксианидзе А.А., Кипиани Д.О. Геометрически нелинейное деформирование пологих оболочек с разрывными параметрами // Актуальные проблемы нелинейной механики оболочек. Изд-во Казанского гос. ун-та, 2008. – С. 72-74.
38. Кипиани Г., Лагундаридзе Г., Кипиани Г.Д., Бекиришвили М. Методика расчета на устойчивость трехслойной пластины с прямоугольными отверстиями // Сборник докладов Межд. Науч.-техн. конф. «Архитектура и строительство». Актуальные проблемы. Известия ЕГУАиС. Том 3. Ереван 2008. С. 164-169.
39. Кипиани Д.О. Кипиани Д.О. Свободные колебания многослойных оболочек ребрами // Строительство. Тбилиси. 2008 № 3(10) – С. 38-41.
40. Kipiani G., Buksianidze A., Kipiani D. The stressedly-Deformed state of a rectangular plate with rectangular cut// International virtual journal for science, technics and Innovations for the industry „Machines, Technologies, Materials. year II ISSUE 10-11/2008, Sofia, Bulgaria 2008. p.p. 38-40.

41. თოდუა ნ., ნოზაძე გ., ყიფიანი დ. წყვეტილ-მახასიათებლიანი წრიული ფილების გაანგარიშების რიცხვითი რეალიზაცია // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008“ მოხსენებათა კრებული, თბილისი, სტუ, 2008, გვ. 249–251.
42. ლალუნდარიძე გ., ხართიშვილი ი., ყიფიანი დ. მრავალფენიანი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრის ალგორითმი // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ინფორმაციული ტექნოლოგიები“. თბილისი, 2008. გვ. 222-226.
43. Kipiani G., Kipiani D., Buksianidze A., Kachkachishvili N. Definition of critical loading on compressed plate with cuts by trobsition from static problem to stability problem // Tendencie rozwoju Budowsictwa miejskiego I Przemystowego. Wydawiictwo Politechniki Czestochowskiej. Czestochowa. 2008. – p.p. 146-151.

2009

44. ყიფიანი გ., ყიფიანი დ., ყიფიანი ლ. ფენოვან სისტემებში სამკუთხა სასრული ელემენტის (სე)

- სიხისტის მატრიცის შედგენა განივი ძვრის გათვალისწინებით // ინტელექტუალი № 8. თბილისი. 2009. გვ. 161-164.
45. ყიფიანი გ., კახიძე რ., ყიფიანი დ.. დამრეცი გარსების მრავალტალღიანი საფარი, დაყრდნობილი სიგრძეზე ცვალებადი სიხისტის კონტურულ ელემენტებზე // ინტელექტუალი, № 9. თბილისი 2009. გვ. 194-198.
46. ყიფიანი გ., ყიფიანი დ., გოგალაძე რ. ერთმალღიანი მრავალტალღიანი საფრის გაანგარიშება გარსების სახსრული შეერთებისას // „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. თბილისი. № 1-3, 2009. გვ. 60-62.
47. ყიფიანი გელა, ყიფიანი დავით, გოგალაძე რომეო. ფენოვან სისტემებში მართკუთხა სასრული ელემენტის სიხისტის მატრიცის შედგენა განივი ძვრის გათვალისწინებით // ინტელექტი № 1(33), თბილისი. 2009. გვ. 150-152.
48. ყიფიანი გ., სოფრომაძე ზ., ყიფიანი დ. მრავალფენიანი დამრეცი გარსის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა // მშენებლობა № 1(12), თბილისი, 2009. გვ. 96-99.

49. ყიფიანი გ., სოხაძე ა., ყიფიანი დ. წრიული ნახვრეტის მქონე დრეკადი სიბრტყე, რომლის კიდე დატვირთულია შეყურსული ძალებით // მშენებლობა №2 (13), თბილისი. სტუ. 2009. გვ. 58-63.

2010

50. Kipiani D., Rekhviashvili G., Gardapkhadze T. Method of Solution of special cases of cut's Arrangement // საერთაშორისო-სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის „სამშენებლო მექანიკის პრობლემების“ შრომების კრებული „მშენებლობა“, თბილისი. 2010, №2(17), გვ. 178–180.

2011

51. Kekelia Giorgi, Kipiani Gela, Kipiani Datid, Kobiashvili Pirani, Kapanadze Tea. Electrodinamic analysis of Five-Port waveguide junctions // Abstracts II International Conference. Dedicated to the 70-th anniversary of the Georgian National Academy of Sciences, the 120-th birthday of its first President Academician Nikoloz (Niko) Muskhelishvili. September 15-19, 2011. Batumi, Georgia, p. 123.

2012

52. Кипиани Г.О., Кипиани Д.О., Кипиани Л. Г. Аналитическое решение для геометрически нелинейной оболочки подкреплённым ребром // 2-ая международная научно-техническая конференция „Современные проблемы охраны окружающей среды, архитектуры и строительства“, 24-31 июля, 2012. Кобулет-Тбилиси, 2012, „Универсали“, с. 130-134. (ISSN – 1512-2344. gwmi. 1929@gmail.com).

53. Zonenashvili Iosif, Kakhidze Revaz, Kipiani David, Nikoladze Malkhaz. Solution of homogeneous boundary-value problems of theory of elastic shells and plates by invariant immersion method // Proceedings of the 4th International conference on contemporary problems in architecture and construction sustainable building industry of the Future. Volume 2. September 24-27. 2012. Czestochowa, Poland, 2012. p.p. 728-731.

2013

54. Кипиани Г.О., Кипиани Д.О., Кипиани Л.Г. Применение обобщённых функций по расчёту пологих оболочек с двумя ортогональными разрезами // Сборник

докладов 3-я международная научно-техническая конференция “Современные проблемы охраны окружающей среды, архитектуры и строительства”, 29 июля – 4 августа 2013. Тбилиси – Боржоми. 2013. с. 197-199.

55. ყიფიანი დ. არარეგულირებადი თხელი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა // საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენციის თეზისების კრებული. თბილისი-ბათუმი 9–15 სექტემბერი. თბილისი, 2013. გვ. 123.

2017

56. Bliadze Seit, Tsikarishvili Malkhas, Kipiani David. Analysis of plates and sheeths with ribs by finite elements method // Collection of abstracts of 9th international conference contemporary problems of architecture and construction. Edited by Gela Kipiani. Batumi-Georgia, September 13-18, 2017. Publishing House “UNIVERSAL”, Tbilisi, 2017. – p. 147.
57. Tskhvedafze Revaz, Kipiani David, Chorkhauri Nino. Practical way for solution of some tasks of structural

mechanics // Collection of abstracts of 9th international conference contemporary problems of architecture and construction. Edited by Gela Kipiani. Batumi-Georgia, September 13-18, 2017. Publishing House "UNIVERSAL", Tbilisi, 2017. – p. 147.

2019

58. Kakhidze Revaz, Kipiani David, Okropiridze Giorgi. Numerical Research of Thon-Walled Structures // X International conference of the Georgian Mathematical Union. AVSRTACRS. September 2-6, 2019.

2022

59. Kipiani David. Examination of the tense-deformed condition of sectioned thin shells with hardness ribs. // The International Scientific and Technical Conference "Problems of Engineering Sciences" Yerevan University of International Relations named after A. Shirakatsi Yerevan – Armenia, May 20-22, 2022 p. 39

2023

60. Buksianidze Amiran, Kipiani Davit, Dekanosidze Shorena. Multilayer plates with non-uniform orthotropic layers Calculation of sustainability. International Scientific and Technical Conference "Problems of Applied Mechanics," Dedicated to the 95th Anniversary of of the Academy Corresponding Member Irakli Ghudushauri" Irakli Ghudushauri". 2023, Tbilisi, May 15-16, 2023 p. 54
61. Kipiani David, Todua Mikhril, Verulashvili Lali, Dekanosidze Shorena, ISSUES OF PHYSICAL DETERIORATION OF BUILDINGS AND THE IMPACT OF EARTHQUAKES ON THEM. XIV Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union will be held in Poti on August 29-31, 2023. p. 34
62. ყიფიანი გელა, ქაჯია ლალი, მურჯიკნელი გივი, ყიფიანი დავით, ლოსაბერიძე მარინა. თეორიული მექანიკა სტატიკა - ტომი 1. პროფესორ გელა ყიფიანის საერთო რედაქციით. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2023 - 450გვ.

მშობლები



ოთარი ლავრენტის ძე ყიფიანი. დაიბადა 1931 წლის 2 მაისს. ამბროლაურის რაიონი სოფელ მეორე ტოლაში. ლავრენტი ყიფიანისა და მატრონა (მატო) ლომთაძის ოჯახში. ყავდა უფროსი და-ძმა. შოთა ყიფიანი დაიღუპა დიდი სამამულო ომში, 1945 წლის 9 მაისს; ის 15 წლის ასაკში მშობლების დაუკითხავად, მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სამშობლოს დასაცავად. და – თინა ყიფიანი იყო პედაგოგი, წლების განმავლობაში იყო ხვანჭკარის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ასევე ასწავლიდა მეორე ტოლის ოთხწლედში და ხვანჭკარის 8 წლედში. რამოდენიმე წელი ხელმძღვანელობდა ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილებას. მეუღლე იყო ნიკოლოზ (კოლია) გოქაძე. დასაფლავებული არიან სოფელ ბარეულის სასაფლაოზე.

ოთარი იზრდებიდა სოფელ მეორე ტოლაში. მამა – ლავრენტი ყიფიანი დაიკარგა დიდ სამამულო ომში, ფრონტზე (ცნობის თანახმად დაკარგული) 1942 წელს. მას არ ეკუთვნოდა ფრონტზე წასვლა, რადგან უკვე ასაკში იყო, მაგრამ მაინც გაიწვიეს, ასეც ხდებოდა.

დედა მატრონა ყიფიანი (ლომთაძე) ძალიან მშრომელი იყო. საუკეთესო ვენახები ჰქონდა სოფელ ხვანჭკარაში და ყოველდღე გიდელით დადიოდა ვენახში, სადაც დაიზარდნენ მისი სამი შვილიშვილი. შვილიშვილი, რომ იბადებოდა მათ სახელზე ჩაიყრებოდა ვენახი და მათი სახელები ერქვათ.

მატრონა გარდაიცვალა 1967 წელს დასაფლავებულია ამბროლაურის რაიონის სოფელ მეორე ტოლის წმინდა სამების სახელობის სასაფლაოზე. ეკლესიის კედელთან.

როდესაც ოთარიმ დაამთავრა 8 კლასი მეორე ტოლაში, გადავიდა ქრებალოს საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ქ. ქუთაისის სამთო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს და მუშაობა დაიწყო ტყიბულის სტალინის სახელობის შანტაში ცვლის უფროსად.

1951-1955 წლებში მუშაობდა დონბასში, რომელსაც მანამდე სტალინო ერქვა. იყო დონეცკის ოლქის დედაქალაქი. ამ პერიოდისათვის მახტმშენებელი სამმართველოს უფროსი იყო ქართველი მშენებელი ნოდარ მეძმარიაშვილი. ოთარი მუშაობდა დონბასის ქალაქებში გორილოვკაში და ქალაქ ენაკიევოში (ცნობები გვაქვს მისი გამოგზავნილი წერილებიდან) გორლოვკა დონბასში სიდიდით მეორე ქალაქი იყო (საინტერესოა, რომ ორივე ქალაქი, ასევე ცნობილი იყო კოსმონავტებით).

გორლოვკაში დაიბადა მსოფლიოში პირველი კოსმოსური დინასტიის ფუძემდებელი (ორი შვილიც კოსმონავტია) საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე ვოლკოვი.

პირველი დონბასელი კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი. გიორგი ბერეგავოი ენიკიევიში დაიბადა.

დონბასიდან ჩამოსვლის შემდეგ ოთარიმ ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა სამთო ფაკულტეტი გამდიდრების სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა ცვლის უფროსიდან, მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე.

ქალაქებში ტყიბული, ტყვარჩელი, კემეროვი, ალჟირის სახალხო რესპუბლიკაში და ჭიათურაში.

1955 წელს დაქორწინდა. მისი მეუღლე გახდა ხათუნა ჭუმბურიძე. მეორე ტოლაში პირველი იმერელი რძალი.

ოთარის ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, ყოველ სამთვიან არდადეგებზე მიიჩქაროდა სოფელში, უყვარდა ნადირობა, თევზაობა კალმანზე, სოკოებზე ფეხით, მთებში სიარული. დაუდალავად შეეძლო რამოდენიმე კილომეტრის გავლა.

მათ შეეძინათ სამი ბიჭი გელა, ავთანდილი და დავით ყიფიანები.

ოთარი გარდაიცვალა 2014 წელს დასაფლავებულია ქ. თბილისის, ავჭალის სასაფლაოზე მეუღლესთან და მის პატარა შვილიშვილთან შოთიკოსთან ერთად.

ხათუნა ყიფიანი



ხათუნა დუტუნას ასული ჭუმბურიძე. დაიბადა 1936 წლის 5 მაისს თერჯოლას რაიონის სოფელ ახალ თერჯოლაში. ივანე (დუტუნა) ჭუმბურიძისა და ვერა მასხარაშვილის ოჯახში. ყავდა და ძმა. და ლოლა ჭუმბურიძე გათხოვილია ხარაგულის რაიონის სოფელ ლედვანში. ყავს ორი შვილი. ძმა მურმან ჭუმბურიძე ცხოვრობს ქ. ქუთაისში. ყავს ორი ვაჟკაცი. მთელი ოჯახი ხელოვანია ქართული ცეკვის კულტურის მიმდევრები.

ხათუნამ სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა პედაგოგიური სასწავლებელი და რამოდენიმე წელი მუშაობდა ბაღში აღმზრდელად.

ხათუნას მეუღლე სტუდენტი იყო. ამიტომ მას უწევდა ბიჭების მოვლა, რომელიც არ იყო ადვილი. მით უმეტეს მეუღლე მუშაობდა სამ ცვლაში.

ძალიან უყვარდა ბიჭების მეგობრები, ყოველთვის უხაროდა, როდესაც მთაწმინდაზე გელას, ავთოს ან დათოს მეგობრები მიდიოდნენ.

ქალბატონი ხათუნა დიდ პატივს სცემდა დედამთილს და მულს. ამიტომ ყოველ არდადეგებზე იმყოფებოდა შვილებთან ერთად რაჭაში. სოფელ მეორე ტოლაში, სადაც მართლაც პატივს სცემდნენ. ყველასთან ჰქონდათ საუკეთესო ურთიერთობა. რძლები მეგობრობდნენ. დებივით იყვნენ.

სულიკო ლომთაძე (შიშინაშვილი), გუგულა ლომთაძე (სხირტლაძე), ნადია ლომთაძე, ნაზიკო ლომთაძე, სულიკო ლომთაძე, დენიზა ლომთაძე, მერი ტყეშელაშვილი.

ქალბატონი ხათუნა გარდაიცვალა პანდემიის პერიოდში. 2022 წლისოქტომბერში იქნება წლისთავი.

დასაფლავებულია ქ. თბილისში ზემო ავჭალის სასაფლაოზე მეუღლის ოთარ ყიფიანის და შვილიშვილ მოთიკოსთან ერთად.

ასევე სასაფლაოზეა – ასლან ლომთაძის ოჯახი, ხუტა ლომთაძის, ლავრენტი ტყეშელაშვილის ოჯახი, დიმიტრი ლომთაძის ოჯახი, გალაქტიონ, პაპუნა +++

ძმები

გელა ყიფიანი



გელა ოთარის-ძე ყიფიანი დაიბადა 1956 წლის 16 იანვარს ამბროლაურის რაიონის სოფ. მეორე ტოლაში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მექანიკის სპეციალობით. ამავე წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტი-ტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე.

1983-1984 წლებში იყო ლენინგრადის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის სტაჟიორ-მკვლევარი. 1986 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრაზე ასპირანტურაში, სადაც 1989 წელს ვადაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: მართკუთხა ჭრილის მქონე სამფენოვანი ფირფიტის მდგრადობა, პროფესორ ბორის მიხაილოვის ხელმძღვანელობით. სამშენებლო მექანიკის

სპეციალობით, შიფრით: 05.23.17. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მუშაობდა სხვადასხვა კათედრაზე უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1986-1987წწ. იანვარი ლენინგრადის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის ლითონის კონსტრუქციების კათედრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, დახურული თემატიკა თემა „ეკრანი №72 სრულიად საიდუმლო“. თემა ეხებოდა კოსმოსური ხომალდის საკითხებს. 1988 წ. იანვარი 1989 წ. იანვარი ლენინგრადის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, დახურული თემატიკა, თემა სრულდებოდა იჟორსკის ქარხანაში. „სასროლი მოძრავი არაღის საფარის მდგრადობის ანგარიში“. ამავე წელს გადავიდა სამუშაოდ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1990 წლიდან ამავე კათედრის დოცენტი. 1991 წელს მინიჭა დოცენტის წოდება.

1993-1996 წლებში არის სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტის ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების კათედრის

დოქტორანტი სამშენებლო მექანიკის სპეციალობით შიფრით 05.23.17. 1993 წ. იანვარი სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტის ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების კათედრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, დახურული თემატიკა №376. თემა ეხებოდა კოსმოსური ხომალდის საკითხებს.

1997 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: თხელკედლიანი წყვეტილ-პარამეტრებიანი სივრცითი სისტემების დეფორმაცია და მდგრადობა, აკადემიკოს ბორის მოხაილოვის სამეცნიერო კონსულტანტობით და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1998 წელს პროფესორის წოდება სამშენებლო მექანიკაში.

1999 წ. – დღემდე საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდ „ინტელექტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტია.

ამავე წლიდან არის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი. 2006-2013 წლამდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი.

ამავე წლებში ეწეოდა ადმინისტრაციულ საქმიანობას. 1996 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სწავლული მდივანი. 1997-2005 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველოს უფროსი. 2005-2007 წლებში არის რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახურის უფროსი.

2013 წლიდან დღემდე ააიპ „განათლებისა და მეცნიერების პროგრესის“-ს პრეზიდენტი.

2014-2020 წლებში საქართველოს სავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი.

2014-2018 წ.წ. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი.

2020-2021 წლებში სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ჯგუფის უფროსი. ასევე ამავე წლებში სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის დეპარტამენტის პროფესორი, 2021 წლიდან დღემდე არის სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის,

სამშენებლო მანქანების დეპარტამენტის პროფესორი კონკურსით.

მისი სამეცნიერო მიმართულებაა: გარსებისა და ფირფიტების თეორია, ბიომექანიკა, წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი სივრცითი სისტემების მდგრადობის საკითხების გამოკვლევა; დამუშავებული აქვს ტენზებისა და წიბოების მქონე გარსების გაანგარიშების ახალი მეთოდი არაწრფივი დეფორმაციის პირობებში. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე გამოკვლეულ იქნას დისკრეტული და კონტინუალური სისტემები. ამასთან გაითვალისწინება არარეგულარობის სხვადასხვა სახეები: გამჭოლი ჭრილით, მართკუთხა მონაჭრით ან ხვრეტით შესუსტებული სამფენოვანი ფირფიტისათვის. ავტორის მიერ პირველად იქნა ამოხსნილი კრიტიკული მკუმშავი დატვირთვის განსაზღვრის ამოცანა თხელი ფირფიტების თეორიისა და განზოგადოებული ფუნქციათა თეორიის გამოყენებით. შემოთავაზებული მეთოდიკის საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები ფართოდ იქნა გამოყენებული მშენებლობაში.

გ. ყიფიანი წლების განმავლობაში იყო საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს წევრი, ასევე სამშენებლო და სატრანსპორტო ფაკულტეტებთან არსებული სადისერტაციო საბჭოების წევრი. 2001 წელს გ. ყიფიანი გამომცემლობა „მესხეთის“ პრემიის ლაურეატია. 2004 წელს ხდება საქართველოს მეცნიერების და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. არის რამოდენიმე საქართველოს და საერთაშორისო დარგობრივი აკადემიების წევრი. ასევე ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. 2001 წლიდან გ. ყიფიანი თეორიული და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს ეროვნული კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი გენერალური მდივანია. 2008 წლიდან მექანიზმების გამოყენებითი მექანიკის ისტორიის საერთაშორისო საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრია. 2011 წლიდან საქართველოს მექანიკოსთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი მდივანია.

2012–დღემდე საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მმართველი საბჭოს წევრი, „საზოგადოების საპატიო წევრი“. 2011-2015 საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზი-

დიუმის საბჭოს წევრი. საზოგადოებასთან ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე. 2015-დღემდე ევროპის მშენებელ-ინჟინერთა საბჭოს და მსოფლიოს მშენებელ-ინჟინერთა საბჭოს ოფიციალური წევრის საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრი. 2016-დღემდე საქართველოს რეფორმატორთა კავშირის პრეზიდენტის წევრი. 2017-დღემდე საქართველოს რეფორმატორთა კავშირის მშენებელთა ლიგის წევრი. 2019-დღემდე სეისმომედეგი მშენებლობის და საინჟინრო სეისმოლოგიის საქართველოს ეროვნული ასოციაციის წევრი. 2019-დღემდე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის,

„ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“-ის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2019-დღემდე საქართველოს რეფორმატორთა კავშირის მეცნიერების, ინოვაციების და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის თავმჯდომარე.

მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა – 1997წ., ღირსების მედლი – 2002წ., ილია ვეკუას სახელობის ოქროს მედლი – 2016წ., ქართული და პოლონეთის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის

დაჯილდოებულია ჩესტოხოვოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დიპლომითა და ვერცხლის მედლით - 2014წ. ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის გადაწყვეტილებით როგორც ყველაზე ერთგული პარტნიორი დაჯილდოებულია ოქროს მედლით – 2018წ. დაჯილდოებულია დიპლომით სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სვისმომედგობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთან წარმატებული თანამშრომლობისათვის, კერძოდ ამ დარგში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის – 2017წ. მიღებული აქვს 35 სერტიფიკატი სხვადასხვა ქვეყნიებიდან. უცხოეთის საერთაშორისო აღიარების მქონე ოთხი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 16 საერთაშორისო კონფერენციის „მშენებლობისა და არქიტექტურის პრობლემებზე“ საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. 12 საერთაშორისო კონფერენციაზე სამშენებლო მექანიკის სექციის თავმჯდომარე. საქართველოს დამსახურებული მშენებელი – 2019წ.

გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია, 7 პატენტი, 14 სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

გელა ყიფიანი ხელმძღვანელობით და სწავლული მდივნობით ჩატარებულია 200-მდე სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი მშენებლობისა და არქიტექტურის პრობლემებზე. მონაწილეობდა როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივ საგრანტო პროექტებში, როგორც, მენეჯერის ასევე ძირითადი შესრულებლის თანამდებობებზე.

ჰყავს მეუღლე ხათუნა ყიფიანი – ფსიქოლოგი, შვილები ლიკა ყიფიანი – საინფორმაციო ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, სალომე ყიფიანი – ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, შვილიშვილები: ანდრია და ანა გურაშვილები.

ავთანდილ ყიფიანი



ავთანდილ ყიფიანი დაიბადა 1959 წლის 5 აგვისტოს ამბროლაურის რაიონი დაბა ქრებალოში. 1976 წელს დაამთავრა 123-მე საშუალო სკოლა. 1977 წლიდან 1980 წლამდე მსახურობდა სსრკ შეიარაღებულ ძალებში 1980-1981 წლებში მსახურობდა ქ. თბილისის № 8-ე თბოსადგურში ოპერატორის თანამდებობაზე. 1983 წლიდან დაიწყო მსახური საქართველოს შ.ს.ს საბჭოთა და პარტიული ორგანოს შენობათა დაცვის განყოფილების I-ქვეგანყოფილების რიგითი მილიციელის თანამდებობაზე. 1987 წელს ჩააბარა სსრკ შ.ს.ს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე. პარალელურად ემსახურებოდა სმენის უფროსად შ.ს.ს. საბჭოთა და პარტიული ორგანოს შენობათა დაცვის განყოფილებაში. 1991 წელს მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მიმდი-

ნარე საბრძოლო ოპერაციებში. 1993 წელს დაამთავრა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთს სამინისტროს თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი სპეციალობით სამართალმცოდნეობა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილები მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1994 წელს მსახურობდა შ.ს.ს. საელჩოს დაცვის განყოფილებაში უფროს ინსპექტორის თანამდებობაზე. 1995 წლიდან დაინიშნა საქართველის შ.ს.ს. საგამომძიებლო დეპარტამენტის გამომძიებლის თანამდებობაზე. 1999 წლიდან 2003 წლამდე მსახურობდა აფხაზეთის ა.რ. შ.ს.ს. საგამომძიებლო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. მიღებული აქვს შ.ს.ს. მუშაობის პერიოდში 15 მაღლობა. 2004 წელს გავიდა პენსიაზე მაიორის ჩინით ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ყიფიანი დიმიტრი და ყიფიანი გიორგი. დაამთავრეს თბილისი 47-ე საჯარო სკოლა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

მილოცვები

ღირსეულად გავლილი 60 წელი



ყველა ადამიანს გააჩნია თავის ცხოვრებაში არჩეული გზა რომელიც მას მისი ოჯახიდან, ბავშვობიდან, ყმაწვილკაცობიდან მოყვება და იგი მის მიერ არჩეულ გზას არ უხვევს თავისი ცხოვრების

წესით, მოყვასის სიყვარულით, ერთგული მეგობრობით, საქმიანი ურთიერთობებით და იმ პროფესიონალიზ-მით, რომელიც მან აირჩია მისი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. აი, ასეთი პიროვნება ბრძანდება ჩვენი კოლეგა, მეგობარი და თანამოაზრე ბატონი დავით ყიფიანი, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარაში დაბადებული კაცი რომლისთვისაც ქართული ეროვნული ტრადიცია, კულტურა, ფოლკლორი და რაჭული სიდარბაისლე მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენს. ბატონმა დავითმა მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე რომელიც სკოლის პერიოდიდან იწყება აქტიური

ცხოვრების წესით დაიწყო და დღესაც ამ შემართებით აგრძელებს საქმიანობას, იყო სტუდენტობა, სპორტული მიღწევები, ასპირანტურაში სწავლის პერიოდი, დისერტაციის დაცვა, საინჟინრო მიმართულების აკადემიური დოქტორის ხარისხი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის ლაბორანტობიდან გავლილი გზა ლაბორატორიის გამგის თანამდებობამდე და პროფესორის წოდებამდე.

ბატონი დავით ყიფიანი დღესაც აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში როგორც ლექტორი, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უმარლესი სასწავლებლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სტუდენტი ახალგაზრდობის აღმზრდელი. იგი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებთანაც ახორციელებს გაცვლითი სწავლების პროგრამებს. დიდია მისი საქმიანობის არეალი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაში, როგორც მისი ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის სტატუსიდან გამომდინარე.

ბატონი დავითის ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში, იგი სისტემატურად აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, როგორც მომხსენებელი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. როგორც ზევით მოგახსენეთ, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში – რაჭაში კერძოდ კი საქართველოს სავიზიტო ბარათის საერთაშორისო ღვინის ბაზარზე ხვანჭკარაში დაბადებული კაცი სულით-ხორცამდე ქართველი მრავალხმიანობით აჟღერებს ქართულ სიმღერებს, იგი უბადლო შემსრულებელია ქართული ფოლკლორისა, რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს თავის ქართველობას და ერისკაცობას როგორც შვილი, მეუღლე, მამა, ძმა და მეგობარი, ეს მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მინდა ვუსურვო ჩემს დათოს დიდხანს სიცოცხლე, გახარება, გამრავლება და ბედნიერება თავის ოჯახთან, დედამამიშვილებთან და იმ დიდ სამეგობრო წრესთან რომელიც მისი შეუცვლელი ფენომენია.

იცოცხლე და გაიხარე ჩემო დავით, კიდეც ბევრჯერ
მომელოცოს შენთვის ლამაზი საიუბილეო თარიღები.
კაცური ამბორითა და დიდი სიყვარულით.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ორი ღირსების ორდენის კავალერი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

ბრწყინვალე პიროვნება დავით ყიფიანი

60 წლისაა



ბატონი დავითი სულ ახალგაზრდა ყმაწვილი იყო, როცა ის სტუ-ს თეორიული მექანიკის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე მოვიდა. კათედრის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩა მისი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ამიტომ დათო მალევე დააწინაურეს და დანიშნეს ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. თითქმის 35 წელზე მეტია, რაც ვიცნობ დათოს. ის ჩემ თვალწინ დაკაცდა და ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. მისი ცხოვრების წესია

ოჯახის, მეგობრების, კოლეგების პატივისცემა, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული.

ჩემო დათო კატაკლიზმებით სავსე დროში არ გიდალატია არჩეულ ცხოვრების წესისათვის და შენ ღირსეულად იცხოვრე განვლილი პირველი 60 წელი, კოლეგებში და მეგობრებში ცალსახად აღიარებული ხარ, როგორც კეთილშობილი, სანდო და უღალატო პიროვნება. ვინც დათოს იცნობს ყველა დამეთანხმება, რომ იგი ღირსეული პიროვნებაა და აქვს ყველა ის თვისება, რომელმაც მას საზოგადოებაში მოყვასის ერთგული, ღირსეული კაცის ადგილი მიუჩინა.

ჩემო დათო შენ შენი ყოფაქცევით დამსახურებულად, მახვშვივით ზიხარ საუფროსო საკარცხულში, გვარით ყიფიანი, სახელით დავითი ხარ. „მარე“ – სვანურად კაცს ნიშნავს და შენ ნამდვილი „მარე“ ხარ. ყველას არ ეთქმის ჩვენ დროში „მარე“. არც ზოგთა მარეებში გმართებს გარევა. შენ განვლილ 60 წელში ბუნებრივად ძალდატანების გარეშე დაამტკიცე, რომ სამახვშო „მარე“ ხარ და გეკუთვნის ღირსეული „მარეს“ საკარცხული. ამიტომაცა, რომ ღმერთმა დაგაბერტყა მრავალი სიკეთე. სუფრაც იცი და სუფრაზე მოლხენაც,

როცა შენი ტკბილი ხმით ამღერდები და ყურს ვუგდებ იმ ხმას საკვირველს, გრძნეულს, მაშინვე იგრძნობ სულის მშვიდ ალაფრენას და გული სხვაგვარ გიცემს და ივსება კეთილი შურით. ნათქვამია „სტვენდა ნაზი ბულბული“ სიკეთით, ოჯახის, მეგობრების და სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი.

მე, არ მახსენდება ერთი ფაქტიც – კი, რომ „მარეობაში“ რაინე შეგმლოდა, ამიტომაცაა, რომ შენ მრავალრიცხოვან სამეგობრო წრეში ყველას უყვარხარ. შექმენი მტკიცე, სანიშნო ოჯახი და გყავს შესანიშნავი ცოლ-შვილი, რომლებსაც გულით ვულოცავ შენ საიუბილეო თარიღს. როგორც ჩემთვისა ცნობილი შვილებს მოყვასის და სამშობლოს სიყვარულს, ერთგულებას უნერგავ, რაც ყველა მამულიშვილისთვის ძირითადი მოვალეობაა და ამ საქმეშიც შენ მოწინავე ხარ. ჩემო დათო დარწმუნებული ვარ მომდევნო 60 წელზე მეტ ხანს ისევე ღირსეულად და ბედნიერად იცხოვრებ საზოგადოების სიყვარულში, როგორც დღემდე გიცხოვრია. ღმერთი გწყალობდეთ შენ და შენ ოჯახს, ძმებს და ყველა შენ ახლობელს. გისურვებ, ყოველდღიურ ბედნიერებას, სიხარულს, გამართლებას, ჯანმრთელობას,

კეთილი სურვილების ასრულებასა და ღმერთისაგან ნაბოძებ ყველა სიკეთის მიღებას. ჩემო დავით გაფასებ და მიყვარხარ, მრავალი საიუბილეო თარიღი მომელოცოს შენთვის შენ ოჯახთან და კეთილისმყოფელებთან ერთად.

პატივისცემით

ტარიელ კვიციანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სიყრმის მეგობარი 60 წლისაა



მოკლედ, ჩემი და დავით ოთარის-ძე ყიფიანის ნაცნობობა, სტუდენტობიდან დაიწყო. ეს ნაცნობობა, დიდ მეგობრობაში და პატივისცემაში გადაიზარდა.

წლების განმავლობაში, ერთ ჯგუფში ყოფნა, ერთად გადატანილი ბევრი კარგი და ცოტა ცუდიც რა თქმა უნდა.

პირველ კურსზე პირველივე დღიდან მოხდა ჩვენი დაახლოება. სიის ამოკითხვის დროს გავიგე, რომ ეს სიმპათიური ეოჩორა ბიჭი --- დავით ყიფიანი,

წარმოშობით რაჭველია და ჩემი მამულეთიდან, ჩემი სოფლის გვერძე სოფლიდან - მეორე ტოლიდანაა.

-- დამთავრდა თუ არა ამ საოცარი, პირველი დღის ლექციები, გამოვედით გარეთ: რაღაცა უნდა ვქნათ, უფრო ახლოს უნდა გავიცნოთ ერთმანეთი. ამას სუფრა უნდა, ტრადიციულად. ჯიბეში კი ბევრი არაფერი აღმოგვაჩნდა. დათომ, ერთი გაიღიმა და, დააა აქედან დაიწყო... -- მთაწმინდა, ათარბეგოვის 13 ნომერი სახლი, პატარა ხეივნიანი ეზო, დათოს საოცარო დედიკო და მამა -- ხათუნა დეიდა და ოთარი ბიძია (ნათელი დაადგეს მათ სულეებს), ძმები - გელა და ავთო. გაცნობის მერე -- სუფრა და მთელი სტუდენტობის წლებში - სუფთა ხვანჭკარა. გამოუღვევლად რომ იყო, ყიფიანებთან.

-- სუფრაზე გაირკვა, რომ დათოია (დათოია გახდა 4-5 ჭიქის მერე. მე კი ავთოია) -- საოცრად უკრავს გიტარაზე და სხვა ინსტრუმენტებზეც, მღერის კლასიკურად, როგორც ფოლკლორის ისე საესტრადოს. დათოს ამ თანდაყოლილმა ნიჭმა, როგორც მუსიკალურმა, ისე პიროვნულმა ღირსებებმა (გულკეთილობა, სიალალე ერთგულება, მეგობრების დიდმა სიყვარულმა), -- გავვატარებინა მთელი

სტუდენტობა და მოგვიყვანა აქამდე 22-23 წლის ბიჭები, 60 წლის მამაკაცებამდე.

– როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი მეორე დედიკო – ხათუნა დეიდა.

– ყოველ დღე თითქმის დათოსთან ვიყავით, წლების განმავლობაში. გვივლიდა გვაპურებდა, ერთად გვზრდიდა დათოს და ჩვენ: მე, ტარიელს, რუსლანს, მერაბის, პაატას. იცოდა ყველაფერი საიდუმლოება ჩვენი. მისი ზრუნვითა და ღარიგებით, გადაჭრილა ბევრი პრობლემა ჩვენს სამეგობროში. ჩვენი მეგობარი და მეორე დედა გახდა, ხათუნა დეიდა და ერთად გავატარეთ, საოცრად ბედნიერი და საინტერესო სტუდენტობა.

– ერთი ლამაზი ამბავი მინდა გავიხსენო, ჩვენი სტუდენტობის პერიოდიდან:

სემესტრის ბოლოა, ჩათვლები, გამოცდები, ჩვეულებრივ, როგორც არის ხოლმე. საგანია რაღაც, არც მახსოვს რა საგანი იყო. მოკლედ ლექტორს მანანა ქვია. (გვარს არ ვწერ შეგნებულად) არ გვინახია, არ ვიცნობთ, არ დავსწრებივართ მის ლექციას, მგონი მთელი ჯგუფი. სულ ბოლო საათები იყო და ვიღლებივით თუ გვეზარებოდა

დარჩენა. მოკლედ როგორია --- ჩათვლა გვაქვს და არც საგნის დასახელება ვიცით და არც ლექტორს ვიცნობთ. –

მივედი ინსტიტუტში, შევდივარ აუდიტორიაში და სასაცილო კადრები: ზის მთელი ჯგუფი ყურებჩამოყრილი. რა ხდება მეთქი და რაღა რა ხდებაო, გოგოებმა: გვერძე აუდიტორიაში აქვს მანანას გამოცდა. მერე ჩვენი რიგია და როგორ გინდა შევხედოთო. სირცხვილიაო. მოკლედ დაჯექი ეხლა შენც ჩვენთან და ჩამოყარე ყურებიო. სულ თქვენი ბრალია ეს თქვე ლოთებოო. არა და თვითონაც კარგად ყლურწავდნენ ხვანჭკარას. ... მივხვდი, საჭირო იყო რაღაცის ჩადენა, რაც ყველას კარგ მოგონებად დაგვრჩებოდა და გავხედე დათოს და რუსლანს (ნათელში ამყოფოს ღმერთმა რუსლანის სული) დათოს ვეუბნები --- ე, ბიჭო, მაინც არ დაგვიწერს ჩათვლას და რაღას ვგლოვობთ, მიდი ერთი „წინწყარო“ შეუბერე, ჩემი ხათრით მეთქი. დაიწყო და რა დაიწყო: დათოს წყაროსავით წკრიალა პირველი ხმა, რუსლანის მეორე, მე და ტარომ, ბანი მივაშველეთ, როგორც შეგვეძლო, დათომ გვამეცადინა. წინწყაროს მოყვა, შენ ხარ ვენახო, გაფრინდი შავო მერცხალო, მოვიდა დათო ხოშხე და გაივსო შენობა საოცარი ხმებით. ვინც გარეთ იყო, ისინიც შემოვიდნენ და

უსმენენ დათოს წკრიალა პირველს. ამ დროს იღება კარი და შემოდის ქალბატონი მანანა: რა ხდება? რა დღეში ხართო? გვერდზე გამოცდა მაქვს და თქვენ კი მოგიტანიათ მაგნიტოფონი, ჩაგირთავთ სიმღერები ბოლო ხმაზე და ხართ განცხრომაშიო. თქვენ ის ჯგუფი არ ხართ რომ არ მესწრებოდითო. მოკლედ გატრუნულია ყველა, ავდექი და ვუბნები: პატივცემულო, მაგნიტოფონი არ გვაქვს, ჩვენ ვმღეროდით მეთქი. რაოოო მაშაყირებთ კიდევო ... და ვანიშნე დათოს და რუსლანს --- აბა დაცხეთ ბიჭებო თქო და გაშტერდა მანანა, არ მოელოდა ასეთ შესრულებას, შავლეგო იმღერა მაშინ დათომ.

- მოკლედ, მანანამ, - მომეცით მატრიკულებიო, და დაგვიწერა ყველას ჩათვლა. შემდეგში დავმეგობრდით. დათომ სიმღერაც მიუძღვნა მანანა ლექტორს, რომელიც დიდი დამფასებელი აღმოჩნდა, მუსიკის, სიმღერის და ნიჭიერების.

- ასეთი ლამაზი ამბები, ბევრი ჩაუტარებია - დათოიას, წლების მანძილზე. ყველაფერი რომ გავიხსენო, 2 სქელი ტომი მაინც გამოვა.

– ღმერთმა დალოცოს დავით ყიფიანი, თავის ღამაზე
ოჯახთან ერთად. კარგად უმყოფოს ღმერთმა ის ორი
ლომის ბოკვერი: ღვთისო და ლევან ყიფიანები რომ ქვიათ.

ავთანდილ გოგოლაშვილი

სიყრმის მეგობარი

გილოცავ ღავით



მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ყველას გსმენიათ. ზუსტად აღარ მახსოვს ისტმატში თუ დიამატში ვსწავლობდით ამას. ერთ ასეთ მიზეზ-შედეგობრივ ამბავზე მინდა მოგითხროთ.

კომუნისტების ძალიან ბევრი რამე არ მომწონდა, მაგრამ ეონდა იმ ხალხს ზოგჯერ ჭკვიანური და სასარგებლო ქმედებები. ერთ-ერთი ასეთი ჭკვიანური და

ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ის რომ, თუ 1976-ს, თუ 1977 წელს, განათლების სამინისტრომ, თსუ-ში მექ.-მათემატიკის ფაკულტეტზე საღამოს განყოფილება გააუქმა. მართლებიც იყვნენ. მათემატიკის სწავლას დილის სადი და ხალასი გონება სჭირდება. საღამოს "შრომით" დაღლილი სტუდენტს ნამდვილად გაუჭირდებოდა ეილერის და გაუსის გაგება. თან საქმეს მივხედოთ. რატომ იყო ჭკვიანური კი აგისხენით. ახლა გეტყვით რატომ იყო ეს ამბავი ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი.

1978 წელია. მეორე კურსზე ვართ. სპეციალობები უკვე არჩეული გვაქვს. ზუსტად არ მახსოვს რომელი ლექცია იყო (თვითონ გელას ნამდვილად ემახსოვრება), გაიღო კარი და ორი უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა აუდიტორიაში. ცოტა ხნის მერე მათ მესამეც დაემატა. ესენი იყვნენ დღეს ჩემი კარგი მეგობრები – Tamaz Gardapkhadze, David Gureshidze და Gela Kipiani. ანბანის მიხედვით დავალაგე რომ მერე არავის არ წყენოდა, პირველი რატომ არ დამწერეო!

სამივე „წინა ცხოვრებაში“ საღამოზე სწავლობდა. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ კი ჩვენს ჯგუფში, როგორც გელა ყიფიანი იტყვის „სახელოვან 177-

ე“ ჯგუფში, გააგრძელეს სწავლა. რასაც, მე მჯერავს რომ არც ისინი და მითუმეტეს მეც არ ვნანობ. ერთი სიტყვით განათლების სამინისტროს ის დადგენილება რომ არა, სრულიად შესაძლებელია ეს შესანიშნავი ხალხი საერთოდ არც გამეცნო. რაც ნაღდად ალაღად ვამბობ, დიდი დანაკლისი იქნებოდა ჩემთვის. ასე და ამგვარად შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში გელა ყიფიანი და ამ ამბის მერე საკმაოდ ჩქარა მისი ძმა David Kipiani.

ამ გაცნობის მერე დაიწყო, ჩემი და ჩემი ჯგუფელების, დაუმთავრებელი ვიზიტები ათარბეგოვის 13-ში (დღეს ამ ქუჩას ძმები კაკაბაძის ქუჩა ჰქვია და ძალიანაც კარგი),

ოთარ და ხათუნა ყიფიანების ოჯახში. ჩემი ბიჭები, ჩემი მეგობრები, ერთხმად დამეთანხმებიან რომ, იმ ოჯახში სადაც სამი ბიჭი იზრდებოდა, თითოეული ჩვენთაგანიც მათ შვილად გრძნობდა თავს,

იმდენი სითბო და სიყვარული მოდიოდა ოჯახის უფროსებისგან და სამივე ძმისგან. ამ ოჯახში საჭმელსაც, თითოეულ ჭიქა ღვინოსა სულ სხვა გემო ქონდა. დღემდე მახსოვს ხათუნა ღეიდას ლობიოს გემო. შქმერულიც უფრო გემრიელი იყო ვიდრე სხვაგან. უბრალო მჭადი და ყველი სხვაზე გემრიელი იყო, ალბათ იმიტომ რომ ეს ყველაფერი

უდიდესი სიყვარულით იყო შეზავებული. ყიფიანების ხვანჭკარა ხომ საერთოდ ცალკე თემაა!!! მასზე უკეთეს ვერაფერს დალევდი!

სამივე ძმა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყვნენ და არიან. უფროსი გელა, მიუხედავად 45 წლიანი მეგობრობისა, დღემდე ვერ გავიგე ვინაა! ერთი უბრალო დიდი ბავშვია! გელას და ჩემი თავგადასავლებს ცალკე თავი უნდა მიუძღვნა მომავალ მემუარებში! შუათანა ავთო, თავისი სიღინჯით და საქციელით, ნამდვილი რაჭველი იყო და არის! აი უმცროსი დათო კი, მე მგონი ორივე ძმას „ჯობია“ !!!

თავიდან დათოს ჩვენთან ერთად სუფრაზე არ ვსვამდით (ჩვენზე სულ 2-3 წლით იყო უმცროსი) პატარა ხარო, ვუბნეოდით. ჩვენ ვქეიფობდით, დათო კი გვერდით ოთახში დინამიკზე შეერთებულ გიტარას აუტარუნებდა. მღეროდა ქალაქურ სიმღერებს, ხალხურს, ესტრადას და... დღეს

ჩვენ ვეხვეწებით დათოს თავისთან საქეიფოდ წაგვიყანოს. იმიტომ რომ შესანიშნავი სამეგობრო ყავს და შესანიშნავი მოლხენა იციან...

რა დრო გასულა. მალე ჩვენი დათო ყიფიანი 60 წლის გახდება და თავადაც უკვე ორი ჭეშმარიტი ქართველის, ლევან და ღვთისო ყიფიანების მამაა! ორივე კარგი ახალგაზრდა და ყიფიანების გვარის ღირსეული გამგრძელებელი არიან!

ჩემო დათო ყიფიანო (David Kipiani) გილოცავ იუბილეს! რაც შენთვის სადღეგრძელოებში მაქვს ნათქვამი და ნასურვები, ათმაგად აგისრულდეს!

მცირე მოთხრობის უდიდეს ოსტატს, ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ნათქვამი – დიდებული ადამიანები უძველოდ იკარგებიანო. დათო, კიდევ ასი წლის სიცოცხლეს გისურვებ, არც ჩვენ გვინდა ძეგლები და მონუმენტები, უბრალოდ დიდებული ადამიანი ხარ და შენი სიყვარული ძეგლიცაა და მეტიც! ალბათ ასეთადაც დარჩები, რადგან 60 წლამდეა არ წახდი, აწი რაღა შეგცვლის! დათო დიდი მადლობა იმ წუთებისთვის და იმ სიყვარულისთვის, რასაც შენ გვანიჭებ შენი ჩვენს გვერდით ყოფნისას.

გელას უთხარი (ვიცი თამალობას არავის დაუთმობს) ბევრი არ დალიოს! მეტრიკაში ჩაიხედოსოს ხოლმე ხანდახან.

კიდევ ერთხელ გილოცავ ჩემო დათო! ერთი 60-იც
კიდევ და დანარჩენზე იმ 120 წლის იუბილეზე
მოვილაპარაკოთ!

მრავალჯამიერ დათო ყიფიანო!

P.S. დათო ლამის ათი დღით ადრე რომ გილოცავ ჯერ
ერთი რომ მინდა ყველას დავასწრო და თან მეც რაჭველი
ვარ და ვაი თუ მერე დამავიწყდეს. იმედია მაპატიებ.

ვაჟა გოცირიძე

მექანიკოსი-მათემატიკოსი,

ოჯახის მეგობარი

ჩვენი დათო 60 წლისაა



დრო ულმოებულია. სწრაფად გარბის და აგერ უკვე 60 წლის ხდება ჩვენი დავით ყიფიანი. ერთ დროს მორიდებით რომ ცდილობდა უფროსი ძმის – გელას მეგობრებთან დაახლოვებას, მოლხენას თუ მეცადინეობას – წლების შემდეგ თავად გახდა ჩვენი საუკეთესო მეგობარი და ახალგაზრდების აღმზრდელი, მეგობარი, სული და გული ყველა შეკრების და შეხვედრებისა. ჩემო დავით, უამრავია გასახსენებელი ამ გასულ წლებში, რაც ჩვენს ურთიერთობას ალამაზებდა და ალამაზებს

დღესაც. ყველაფერი კი დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და გაგრძელდა მთაწმინდის ერთ კოპჩია ორსართულიან სახლში, სადაც მუდმივად გველოდა ყიფიანების ლამაზი და სიყვარულით გამთბარი ოჯახი. ბატონი ოთარ ყიფიანი და ქალბატონი ხათუნა ჭუმბურიძე-ყიფიანისა, შენი ძამიკო ავთანდილი. ალბათ, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობამ ითამაშა განსაკუთრებული როლი ჩვენს დამეგობრებაში. როდესაც იუბილეს აღნიშნავ ადამიანი, იხსენებ და ცდილობ გამოარჩიო ის საუკეთესო, რაც გიკეთებია ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, მეგობრებისთვის. გასული წლების გადმოსახედიდან შენ, ჩემო დავით, ნამდვილად შეგიძლია იამაყო, რომ უკვე ბევრი მოასწარი, შენი პროფესიით ქვეყნის სამსახურში; დიდი და სიყვარულით სავსე გულით – მეგობრებისა და ახლობლების სამსახურში; სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან ურთიერთობაში სამაგალითო დამოკიდებულებით – მათი დიდი სიყვარული – ეს ის ჯილდოა, რომელიც დამსახურებულად გეკუთვნის და არა მხოლოდ ქართველი, არამედ უკრაინელი და ბელორუსი სტუდენტებისთვის საქართველოსთან კავშირის ურყევ

და საიმედო ხიდად იქეცი. ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და დარწმუნებული ვარ ეს გზაც ისეთივე სასახელო და წარმატებებით დახუნძლული იქნება, როგორც უკვე გავლილი. დიდხანს, ბედნიერ სიცოცხლეს და სიხარულს გისურვებ საამაყო ოჯახთან - მშვენიერ ქალბატონ ანასთან და ვაჟკაცებთან ერთად.

დიდი სიყვარული და პატივისცემით გესალმებით
შენი

მარინა და თამაზ გარდაფხაძეები

პროფესორები,

ოჯახის მეგობრები

სტუდენტური იმედი



სტუდენტობა ხომ საუკეთესო ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. ჩემი დათოსთან მეგობრობაც ამ ლამაზი წლებიდან დაიწყო და დღემდე ასე გრძელდება. დათოსთან, მთაწმინდაზე ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ბიჭები გამოცდების სამზადისში, რომელიც აუცილებლად ქეიფით მთავრდებოდა დათოს ულამაზესი მუსიკის ფონზე, რომელიც არაჩვეულებრივი ნიჭიერებით უკრავს გიტარას. ხათუნა დეიდა (დათოს დედა) კი უგემრიელესი კერძებით გვანებივრებდა. შემდეგ დავოჯახდით და ჩვენი მეგობრობა ნათესაურ კავშირში გადავიდა. დათო ხომ ჩემი მეჯვარეა. ეს ის ადამიანია, რომლის დანახვისას სახე გებადრება და დადებითი ენერგიით ივსები. დათო დღესაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა აღმზრდელია ამ უნიჭიერეს კაცს გამოქვეყნებული აქვს ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც უცხოეთის პრესტიჟულ ჟურნალებშია

გამოქვეყნებული. აქტიურად იღებს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში. მიხარია და მუამაყება, რომ ასეთი ნიჭიერი, არაჩვეულებრივი მეოჯახე კაცი ჩემი ძმა და მეგობარია. ჩემო დათო მრავალი საიუბილეო თარიღი მომელოცოს შენთვის.

მერაბი ჯავაშვილი
სიყრმის მეგობარი

სიმღერით განვლილი მეგობრობის წლები



დავით ყიფიანი ჩემი მეგობარია, მე მას დიდი ხანია ვიცნობდი, მაგრამ ჩვენი ახლოს გაცნობა მოხდა სიმღერით, ჩვენი საერთო მეგობრის დისერტაციის დაცვის ბანკეტზე. დავითი თავის მეგობართან ერთად ამშვენებდა ბანკეტის სუფრას თავისი შესანიშნავი სიმღერებით. ერთ-ერთი სადღეგრძელოს შემდეგ წამოვიწყე სიმღერა „მასპინძლო ჩემო ღვინო...“ დათომ მაშინვე მომაშვე-

ლა თავისი შესანიშნავი პირველი ხმა, სიმღერამ დიდი მოწონება დაიმსახურა მსმენელებს შორის დათომ თავის სუფრაზე გადამიპატიჟა და გავაგრძელეთ ლხინი, ამის შემდეგ ჩვენი ახლობლობა ახლო მეგობრობაში გადაიზარდა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სუფრასთან სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებებზე. ვასრულებდით ფოლკლორულ სიმღერებს, რომელიც ყოველთვის მოსწონდათ მსმენელებს. მინდა გავიხსენო რამოდენიმე მომენტი: მ. კოსტავას ქუჩაზე ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მოპირდაპირე მხარეს იყო ე.წ. „შალიკოს ღუქანი“, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორები, კოლორიტი ფიგურები: გ. ქევანიშვილი, ობოლაძე, თაქთაქიშვილი, კორსანტია, რომლებიც გამოირჩეოდნენ ქართული სიმღერების უდიდესი სიყვარულით. ყოველ მათგანს ამორჩეული ქონდა თავისი საყვარელი სიმღერა, მაგალითად გ. ქევანიშვილს ძალიან უყვარდა „გაფრინდი შაო მერცხალო“, ობოლაძეს – „ბინდისფერია სოფელი“, როცა დაგვინახავდნენ შალვას ღუქანში ყოველთვის გვთხოვდნენ ამ სიმღერებს შესრულებას. ამ

თხოვნებს მოკრძალებით და პატივისცემით უსრულდება დავითი თავისი შესანიშნავი ხმით.

ბევრი გამოჩენილი პიროვნების სუფრა დაუმშვენებია დავითს. მახსენდება აწ გარდაცვლილი სახელოვანი მეცნიერის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ზ. გედენიძის დაბადების დღეები, რომელსაც ასევე ძალიან უყვარდა ქართული სიმღერები. ამ სუფრებზე ძალიან ბევრი გამოჩენილი პიროვნებები იყრიდნენ თავს: არჩილ ფრანგიშვილი, არჩილ მოწონელიძე, ლევან კლიმიაშვილი, დავით გურგენიძე, ტარიელ კვიციანი, დ. ჯაფარიძე, თამაზ ბაციკაძე, ზურაბ გასიტაშვილი, ზაურ ციხელაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, შ. გაგოშიძე, ვიტალი დვალიშვილი და სხვები. ხშირად ისე ხდებოდა, რომ ბატონი ზურაბის თხოვნით მიწევდა სუფრის გაძღოლა, რასაც თან ახლდა ქართული სიმღერები, ტკბილი მოგონებები ყველანი კმაყოფილი რჩებოდნენ. ამ წარმატების მთავარი მიზეზი განლდათ ის, რომ ყოველთვის ჩემს გვერდით იყო და უდიდეს დახმარებას მიწევდა დათო. ასეთი გამოჩენილი დასამახსოვრებელი საღამოები მქონდა დავითთან ერთად ცნობილი პიროვნებების ბატონი დ.

ნატროშვილის, ტ. კვიციანის, ა. მოწონელიძის და ა.შ. დაბადების დღეებზე.

დათო ყიფიანი ხშირად სტუმრობდა ჩემს დეპარტამენტში საზეიმო შეკრებებზე. ის ძალიან დიდ პიროვნულ სიმპატიას იწვევდა თითოეულ თანამშრომელში და მთხოვდნენ რომ ჩვენს დეპარტამენტში გადმომეყვანა. იყოს ამის მცდელობა ჩემი მხრიდან, მაგარმ გარკვეული მიზეზების გამო ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

დ. ყიფიანი არის შესანიშნავი ოჯახის წევრი, მისი ძმა ცნობილი მეცნიერი გელა ყიფიანი ჩემი ახლო მეგობარია. შესანიშნავი ოჯახის პატრონი. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული, ზრდილობიანი პიროვნება, ნამდვილი მეგობარი გაჭირვებაში და ლხინში გვერდში მყოფი, ღმერთმა ყველას უმრავლოს ასეთი მეგობარი.

დავითს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სულ მუდამ სიმღერის განწყობაზე ყოფნას.

მურმან კუბლაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის
კომპიუტერული დაპროექტების
დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

მეგობარი ასეთი მწამს!



დათო ყიფიანი გავიცანი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, როდესაც იგი თეორიული მექანიკის კათედრაზე ლაბორატორიის ხელმძღვანელად დაინიშნა, მე კი ამ კათედრაზე ვმოდვარწობდი. დათოს უფროს ძმას გელას სტუდენტობიდან ვიცნობდი და შემდეგ, როგორც მექანიკოსს და მათემატიკოსს დავუმეგობრდი, ის ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა და ხშირად გადაიკვეთა ჩვენი გზები როგორც ფიზიკურად, ასევე სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე. მასთან ურთიერთობაც

ძალზე სასიამოვნო და ნაყოფიერი გახლდათ და დღესაც მრავალ საინტერესო ცხოვრებისეულ თუ სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით ნაყოფიერად ვმსჯელობთ და ვთანამშრომლობთ, როგორც მეგობრები და კოლეგები.

ასე რომ ჩემი ძველი მეგობრის ძმამ – დათომ მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება მრავალი შესანიშნავი თვისებით, განსაკუთრებით ადამიანური ურთიერთობების უბადლო სიყვარულით, მოყვასის სიყვარულითა და ერთგულებით, უანგარობითა და პატიოსნებით, ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით, ყოველი ეს თვისება ხომ ნამდვილად ამკობს და ამშვენებს ადამიანს.

თავისი საქმის, პროფესიის, მეგობრის, სუფრის მოყვარულ დათოსთან მაშინვე გამოვინახე საერთო ენა, შეიძლება ითქვას გავუგეთ ერთმანეთს როგორც პოტენციურმა მეგობრებმა და ასე დაიწყო დათოსთან მეგობრობის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. მასთან მეგობრობა ჩემთვის ძალზედ საამაყო და სასურველი გახდა და შემდეგ იგი ნათელ-მირონობაში გადაიზარდა-დათო ჩემი შვილის ნათლია გახდა. სუფრის ხომ ნამდვილი მშვენებაა, მასთან ურთიერთობა და მოლხენაც ერთი დიდი სიამოვნებაა. ასე რომ ჩემი

მეგობრის გელას ძმა ჩემი უფრო მაღალ ხარისხში აღმატებული მეგობარი გახდა.

60-წლიანი გადასახელიდან დათომ ძალიან ბევრი შეძლო თავის სამეცნიერო წარმატებებიდან დაწყებული შესანიშნავი ოჯახის შექმნით გაგრძელებული და რაც მთავარია ღირსეული ადგილის დამკვიდრებით საზოგადოებაში, იგი ხომ თავისი პოზიტიურობით ყველას ხიბლავს და ულამაზებს ცხოვრებას. კაცთმოყვარეობა და მოძმის სიყვარული, რა თქმა უნდა, დიდებულმა მშობლებმა ჩაუნერგეს და ისიც უხვად და უანგაროდ გასცემს სიყვარულსა და სიკეთეს.

მსურს, 60 წლის „დათიკოს“ მივულოცო იუბილე, ვუსურვო ყოველგვარი სიკეთე, წარმატებები და სიხარულები საკუთარ ოჯახში, თავისი გარემოცვის კარგად ყოფნა და ამით იგი ყველაზე ბედნიერი კაცი არის და იქნება ცხოვრებაში.

დაგილოცავ, ჩემო ძმაო, კაცურ სინდის-ნამუსს, რომელიც ასე უხვად დაუბერტყავს ღმერთს შენთვის. მინდა სულ მომღიმარი და მომღერალი იყო, რომელიც ასე მიმზიდველად გამოგდის და გიხდება. გფარავდეს ღმერთი, გისურვებ ანისთან ერთად მრავალ ბედნიერ

დღეს თქვენს შვილებთან მიმართებაში და ყოველივე სიკეთეს, რაც ღმერთს და ადამიანს შეუქმნია ამ სამყაროში. გეხვევი მეგობრული სიყვარულით!

ნუგზარ შავლაყაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის
ინსტიტუტის დრეკადობის თეორიის განყოფილების
ხელმძღვანელი

ილუსტრაციები



დავით ყიფიანის ბაბუა ლავრენტი ყიფიანი



მამიდა თინა ყიფიანი და ხათუნა ყიფიანი



**სურათი გადაღებულია ამბროლაური რაიონი სოფელი
მეორე ტოლა, ეზოში. სხედან: პირველი რიგი ლევან
ტყეშელაშვილი, ავთანდილ და დავით ყიფიანები,
მეორე რიგი: არსენ გასვიანი, ვერა მასხარაშვილი, ნუცა
ლომთაძე, ხათუნა ყიფიანი, ღია ლომთაძე. დგანან:
გოჩა ლომთაძე, მარინა გასვიანი, მალხაზ ლომთაძე
და გელა ყიფიანი**



ავთანდილ და დავით ყიფიანები



ქ. ჭიათურა



სოფელი მეორე ტოლა, არდადეგებზე




თბილისი, ოჯახში



**დავით ყიფიანი უფროს რძალთან ხათუნა ყიფიანთან
1984 წელი**



**ძმისშვილი, ლიკა ყიფიანი ოჯახით
მეუღლე ზვიად გურაშვილი, შვილები ანდრია და ანა**



**ძმისშვილი სალომე ყიფიანი ოჯახთან ერთად
მეუღლე თორნიკე გიორგაძე, ქალიშვილი მატყილა**



ლიდა და დათო



მარინა გარდაფხაძე, რუზო ცხველაძე, დავით ყიფიანი



დისერტაციის დაცვის დროს



გელა და ღვთისმშობელი ყიფიანები, თამაზ ბაციკაძე, მამაო



აკადემიკოს ირაკლი ღუღუშაურთან



დაჯილდოება



როლანდ გვარამაძე, გელა ყიფიანი და დავით ყიფიანი



**ოთარი და ხათუნა ყიფიანები და ბიძა მურმან
ჭუმბურიძე**



დათო სტუდენტებთან ერთად



დავით შავშიშვილი და დავით ყიფიანი



დათო მეგობრებთან ერთად



მერაბ ახალბედაშვილი და დათო



**დავით ყიფიანი, ბელორუსიის ნაციონალური
ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
სერგეი ხარიტონჩიკი და ლევანი,
პროფესორი იგორ სტატიკოვი**

ყოფიანების საგვარეულო ღერბი



შინაარსი

1. დავით ყიფიანი 60	3
2. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	10
3. საზოგადოებრივი აქტიურობა დავით ყიფიანის სამეცნიერო-პედაგოგიური შრომების ბიბლიოგრაფია	12
4. მშობლები	29
5. ძმები	35
6. მილოცვები	46
7. ილუსტრაციები	79

Contents

1. David Kipiani 60	3
2. Basic of life and work dates.....	10
3. Public activity of Davit Kifiani's scientific-pedagogical works Bibliography.....	12
4. Parents	29
5. Brothers	35
6. Congratulations	46
7. Photo materials	79

სამეცნიერო რედაქტორი
შორენა ლეკანოსიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეთერი ზარიძე

გამომცემლობის დამკაბადონებელი
ნანა ღუმბაძე
ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-590-0



9 789941 335900